



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2022 წლის 7 აგვისტო

**დისციპლინური საქმე №112/22
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეჩერების შესახებ**

-- -- 2022 წლის 27 ივნისის №112 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 29 ივნისის №366/112-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია. ამავე წერილით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, გამოთხოვილ იქნა სამოქალაქო საქმის №-- მასალების ასლები.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილების საფუძველზე №112/22 დისციპლინური საქმეზე 2022 წლის 10 აგვისტომდე გაგრძელდა სამართალწარმოების ვადა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁷ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული საქმის მასალების ასლები საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს 2022 წლის 19 ივლისამდე არ მიუღია. შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების შეჩერების საფუძველის გამორიცხვის მიზნით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტიდან 2022 წლის 19 ივლისს განხორციელდა ინფორმაციის გამოთხოვა, 2022 წლის 27 ივნისიდან 10 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, მოსამართლე -- -- მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების დროებით შეჩერების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს -- -- 2022 წლის 26 ივლისის №245 წერილის თანახმად, -- რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე -- -- 2022 წლის 19 ივლისიდან 18 აგვისტოს ჩათვლით იმყოფება შვებულებაში.

გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისციპლინური საქმის წარმოება შეჩერდება, თუ გამოკვლევის პროცესში წარმოიშვა ისეთი ობიექტური სირთულე ან დაბრკოლება (იმ მოსამართლის ავადმყოფობა, რომლის მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური დევნა, ან სხვა შემთხვევა), რომელიც დროებით შეუძლებელს ხდის ამ საქმის გამოკვლევას. ამ შემთხვევაში დამოუკიდებელი ინსპექტორი თავისი გადაწყვეტილებით აჩერებს დისციპლინური საქმის წარმოებას. დისციპლინური საქმის წარმოების

შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში დამოუკიდებელი ინსპექტორი ვალდებულია განაახლოს ამ საქმის წარმოება.

აღსანიშნავია, რომ დისციპლინური საქმის გამოკვლევის პროცესში წარმოიშვა ისეთი ობიექტური დაბრკოლება, როგორცაა მოსამართლე -- -- შვებულევაში ყოფნა, რაც დროებით შეუძლებელს ხდის საქმის გამოკვლევას და დისციპლინური სამართალწარმოების შეჩერების საფუძველს წარმოადგენს.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹¹ მუხლის პირველი პუნქტით და

გადაწყვიტა:

-- -- 2022 წლის 27 ივნისის №112 საჩივარზე მოსამართლე -- -- მიმართ შეჩერდეს დისციპლინური სამართალწარმოება, შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრამდე.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი